



შუახვევი ჰესის დიზაინის ცვლილების გასაჯაროება

შუახვევი ჰესის სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასება განხორციელდა 2012 წელს შემუშავებული ძირითადი/სატენდერო საპროექტო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების ანგარიში დამტკიცდა საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების მიერ, ხოლო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2013 წლის ივნისში. პროექტის განვითარების შემდგომ ეტაპზე ჩატარდა დამატებითი კვლევები, რამაც გამოიწვია დიზაინის უფრო მეტად დახვეწა და სამშენებლო ტერიტორიების პირობებზე მორგება. მსგავსი ცვლილებები დიზაინის გაუმჯობესების მიზნით უცხო არა არის ამ მამტაბის პროექტებისთვის.

დიზაინის ცვლილების უმეტესობა შესაბამისობაშია უკვე არსებულ ზემოქმედების შეფასებასა და შემარბილებელ ღონისძიებასთან, რომლებიც მოცემული პროექტის სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში. შესაბამისად, არსებული პროექტის მართვის გეგმები და პროგრამები მათზე ვრცელდება. მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევაში გახდა აუცილებელი დამატებითი სოციალური და გარემოზე ზემოქმედების შეფასება და შესაბამისად იქნა გასაჯაროებული.

დიზაინის ცვლილება ეხება მხოლოდ შუახვევი ჰესის პროექტს და არა კორომხეთს. კორომხეთი ჰესის სქემასთან დაკავშირებით სამშენებლო სამუშაოები საერთოდ არ დაწყებულა.

დიზაინის ცვლილების შეჯამება მოცემულია ქვემოთ ცხრილში

კომპონენტი	დიზაინის ცვლილების მოკლე მიმოხილვა
საცხოვრებელი ბანაკები	კონტრაქტორისა და მუშა მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბანაკები გაერთიანდა და გადმოინაცვლა შუახვევიდან ხიჭაურში. დიდაჭარის სამუშაო ბანაკს დაემატე მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბანაკი სოფელ პაქსამებში

კომპონენტი	დიზანის ცვლილების მოკლე მიმოხილვა
ფუჭი ქანების განთავსების ტერიტორიები (სანაყაროები)	ფუჭი ქანების განთავსების თავდაპირველი ადგილები შეიცვალა. დამატებითი სანაყარო მოეწყო დიდაჭარაში (N23), სადაც საჭირო გახდა გადამცემი ხაზის ანძის გადატანა და ასევე სოფელ ახალდაბაში ახალდაბის გვირაბის პორტალისთვის.
კარიერი მოპოვების ადგილები	კარიერის მოპოვების თავდაპირველი ტერიტორიები შეიცვალა. შეირჩა და დაემატა ახალი ტერიტორიები.
სხალთის კაშხალი	სხალთის ბეტონის კაშხალი შეიცვალა ქვა-ნაყარი კაშხლით. აღნიშნულის საჭიროება გამოიწვია გეოლოგიური კვლევებმა. შესაბამისად, შეიცვალა კაშხლის სიმაღლე და წყალსაცავის ფართობი. წყალსაცავის მოცულობის შეცვლამ გამოიწვია ზემოქმედების არეალის შემცირება. რადიალური საკეტი შეიცვალა წყალსაგდებზე მოწყობილობით „morning glory“-ით.
სხალთის კაშხალთან მისასვლელი	სამინისტრომ არ დაამტკიცა თავდაპირველი გზის ტრაექტორია, ვინაიდან საჭიროებდა დიდი რაოდენობით ხეების ჭრას. შესაბამისად, შეიცვალა მისასვლელი გზის ტრაექტორია. ახალი გზა მიუყვება ჭალას.
სხალთა ჰესი	სხალთა ჰესის შენობამ გადაინაცვლა მიწის ქვეშ და აიწია მალა დინების საწინააღმდეგო მიმართულებით. შეიცვალა მისასვლელი გზა. ტურბინების სიმძლავრე შემცირდა 9 მგვტ-დან 6 მგვტ-მდე.
დიდაჭარის კაშხალი	დიდაჭარის კაშხალმა გადაინაცვლა მდ. აჭარისწყლის ზედაწელში გეოლოგიური პირობების გამო, თუმცა დარჩა წყალსაცავის ზემოქმედების არეალში. კაშხლის ლოკაციის გადაწვევამ გამოიწვია არსებული გზატკეცილისა და მიმდებარე ქანობის გადაწვევა და ძაბვის გადამცემი ხაზების რელოკაციის შესწორება. ქვედა ბიფეში დემატა მიკრო ჰესი, რომელიც იმუშავებს ეკოლოგიური ხარჯზე.
შუახევი ჰესი	ჰესის შენობამ გადაიწია ხმელეთისკენ, რათა შემცირებულიყო დატბორვის რისკი. შესაბამისად შენობის ზომების და გეგმის ცვლილებამ გამოიწვია ზემოქმედების არეალის შეცვლა. ცვლილება სამირკველის ექსკავაციის მეთოდში. კერძოდ, ღია ექსკავაცია შეიცვალა ხიმინჯების მკვეთი კედლით. ქვესადგური ჩაანაცვლა შიდა ელგაზურმა გამანაწილებელმა (GIS) შეიცვალა მოსაპირკეთებელი მასალა ბეტონიდან გაბიონით.
ღორჯომის ხიდი	მდებარეობა და სიგრძე შეიცვალა. ხიდის სტრუქტურა შეიცვალა ბეტონიდან ფოლადით. მისასვლელი გზა შეიცვალა ხიდის მდებარეობის შესაბამისად
ჩირუხისწყლის დამბა	კაშხლის და სალექარის სამირკველი გამაგრდა რკინა-ბეტონის ხიმინჯებით. ხიმინჯების დამატება გამოიწვია გრუნტის შემადგენლობამ.
გვირაბები	ფაჩხის გვირაბი ამოვარდა პროექტიდან. ჩირუხისწყალი-სხალთის წყალმიმღები შტოლნის მდებარეობა შეიცვალა და ჩაჯდა შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში. შეიცვალა მდებარეობა სადწნო გვირაბის პორტალმა. შეიცვალა დიაკონიძეების პორტალის მდებარეობა, რათა პორტალის შესასვლელი განთავსებულიყო გზისგან მოშორებით.

კომპონენტი	დიზანის ცვლილების მოკლე მიმოხილვა
35 კვ-ანი სხალთა-შოახევის გადამცემი ხაზი	ახალი 23 კმ-იანი 35 კვ-იანი გადამცემი ხაზი დაემატა